

140
1958/3

ბავშვთა
ზოგადი განათლება



ბავშვთა

1
თბილისი
1958

სსრ კავშირის ნორჩ პიონერთა კანონები

პიონერს უყვარს თავისი სამშობლო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. იგი ემზადება იმისათვის, რომ გახდეს საკავშირო აღკვეთველი.

პიონერი პატივს სცემს იმათ სსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწინა საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და აყვავებისათვის ბრძოლას.

პიონერი შეგობრობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვებთან.

პიონერი ბეჭითად სწავლობს, დისციპლინიანი და ზრდილობიანი.

პიონერს შრომა უყვარს და უფრთხილდება ხალხის ქონებას. პიონერი კარგო ამხანაგია, უმცროსებზე ზრუნავს, უფროსებს ეხმარება.

პიონერი გამბედავი იბრძება და სიძინელებისა არ ეშინია.

პიონერი სიმართლეს ამბობს, იგი უფრთხილდება თავისი რაზმის სახელს.


პიონერი თავის თავს ამართობს, ყოველდღე ასრულებს გამაზნებლებელ ფიზკულტურულ ვარჯიშს.

პიონერს უყვარს ბუნება, იგი მშაუნე წარგაყვების, სასარგებლო ფირნიკებისა და ცხოველების დამცველია.

პიონერი მაგალითია ყველა ბავშვისათვის.

სსრ კავშირის ნორჩი პიონერის საზვიამო დანიშნება

მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი აზრანაშენების წინაშე საზვიამო დანიშნებას ვიძლევი, რომ მსურავალედ მმუხაკვება ჩემი საბჭოთა საშოკალო, ვიდოსოვრება, ვისწავლი და ვიზრქოლვებ ისე, როგორც გვინდობსა დიდმა ლენინმა, როგორც გვასწავლის კომუნისტური პარტია.



პიონერები



შინაპარსი

ბაქართვიელის ალკა
ცენტრალური კომიტეტის
უიველთვიური
საბავშვო შვრანალი

1

იანვარი
1958

7556



ასალი პიონერულ ცხოვრებაში	2
გ. კორნეევა—როგორ ესტუმრა შურა ლენინს (მოთხრობა, თარგმანი ე. კეპლემდეშვილმა)	4
გ. გვამაშვილი—ქორეთელი არქეოლოგები (ნარკვევი)	8
კ. გამსახურდია—იგაეები	11
ა. ზელიაშვილი—სამეფოს მედროშე (კინომოთხრობა)	12
თ. სახარცი—სამგორელი პიონერები (ნარკვევი)	18
ს. კლდიაშვილი—ორბი (მოთხრობა)	20
ტეკეციკის სამყაროში	23
ლ. ხუღასანიძე—ასალი წელი (ეტუდი)	24
ვატეხილი ფილა—(უზბეკური ხალხური ზღაპარი)	26
მოსწავლეთა შემოკმედება	29
ასალი წიგნები	30
ი. გრიშაშვილი—დაუვიწყარი კონცერტი ნაძვის ხესთან (ლექსი)	31
გასართობი	32
სსრკ ნორჩი პიონერის საზეიო დაპირება (გარეკ.)	2
სსრკ ნორჩი პიონერთა კანონები (გარეკ.)	2
მ. ფიცხიშვილი—1. ჩენი ეზოს მომღერლები, 2. ამოუსხნელი ამოცანა (ლექსები). გარეკანის 3 გარეკანის პირველი და მეოთხე გვერდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ცუცქერიძეს.	
ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: გ. თათიბაძის, ლ. გუდიაშვილის, კ. მახარაძის, გ. ფიცხიშვილის, დ. ნოდის და დ. ხახუტაშვილის მიერ.	

რედაქტორი რევაზ მარგანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლეზანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფიცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

გამომცემის ფული
XXXII

საბავშვო





ახალი კომუნისტური ცხოვრება

მს. წელია, რაც არსებობს თქვენი საყვარელი, თქვენი მშობლიური პიონერული ორგანიზაცია, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს. პიონერული ორგანიზაციის რიგებში აღიზარდა ჩვენი ქვეყნის ადამიანთა საუკეთესო თაობები. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ იმით, რომ პიონერულ რიგებში გამოზრდილი ახალგაზრდები შეუპოვრად, ვატაცებით შრომობენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მურყნების ყველა ფრონტზე.

ამიტომ, რომ პიონერული მუშაობისადმი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდნენ და იჩენენ ზემდგომი ორგანოები. საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმაც, რომელიც 28-29 ნოემბერს ჩატარდა მოსკოვში, ყველაზე მეტი დრო პიონერული მუშაობის საკითხებს დაუთმო.

პლენუმზე გამოხლმა ამხანაგებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საკავშირო ალკე XII ყრილობის დადგენილების შედეგად ბოლო წლებში პიონერული მუშაობა გაცილებით უფრო შინაარსიანი, საინტერესო და ხალისიანი გახდა.

ძნელია ყოველივე მიხს ჩამოთვლა, რასაც ბევრგან პიონერები აკეთებენ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ბევრ რაზმსა და რაზმეულში მუშაობა ასე საინტერესოდ როდი წარმართება! ზოგი რაზმი სკოლის კედლებში ამწყვედვს თავის მუშაობას. ისევ დიდ მოსაწყენ შერებებს ატარებენ, ხშირად ვერ ერკვევიან იმ დიდ მოვლენებში, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენსა თუ საზღვარგარეთის ქვეყნების ცხოვრებაში. დავიწყებული აქვთ გართობა-თამაში და ტურისტული მოგზაურობები. ისინი არავითარ ინიციატივას არ იჩენენ, და განა ვახაკვირია, რომ ასეთ რაზმებსა და რაზმეულებში გასაქანი ეძლეოდა უღისცილიანობასა და აკადემიურ ჩამორჩენას?!

ყოველთვის ამის ამოსაფხვრელად და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პლენუმმა დაადგინა:

პიონერ-მოსწავლეები უფრო მეტად ჩაებან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. რაზმებსა და რაზმეულებმა ისე უნდა იმუშაონ, რომ პიონერული საქმიანობა არ ემგავსებოდეს სწავლის პროცესს, პიონერული შერება კი — სკოლის ვაკეითოსს.

პლენუმის დადგენილების საფუძველზე ტრადიციული დღეების გვირდით, როგორცაა ლენინის დაბადების დღე და ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული, უნდა აღინიშნოს შემდეგი თარიღებიც: მუშათა სოლიდარობის დღე — 1-2 მაისი, კომკავშირის დაბადების დღე — 28 ოქტომბერი; რაც შეეხება პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს — 19 მაისს, იგი პიონერულ დღესასწაულად უნდა დავსწავლდეთ.

იმისათვის, რომ ჯანმრთელები და ამბტანები იყოს, პლენუმმა საჭიროდ ცნო, შესაძლებლობის მიხედვით, სულთა შერება, ცის ქვეშ ჩაატაროთ პიონერული თამა-

შობანი, ფიზკულტურული ზეიმები, პიონერულ რაზმეულთა შორის შეჯიბრებები ტანვარჯიშში, მძლეონობაში, ფრენბურთში, კალთბურთში, სათბლამარო სპორტში, ცურვაში და სხვა. საქართველის შემოხვევაში შეჯიბრება შეიძლება ჩატარდეს დაუსწრებლად.

კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით კი უფრო ფართოდ უნდა გაშალოთ შეჯიბრებები საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, ტექნიკურ-შემოქმედებითსა და ნატურალისტურ მუშაობაში, აგრეთვე თემურელთა საქმიანობაში. მომავალში უფრო მეტად უნდა რისკეთ გასაქანი ლაშქრობებს მშობლიურ მხარეში; ამ მიზნით თქვენთვის მეტი რაოდენობით დაარსდება თვითმოქმედი ტურისტული ბაზები.


შეჯიბრში გამარჯვებულ რაზმსა და რაზმეულში დაწესდება გარდახვალი დროსა, თასი და სხვა. საუკეთესო პიონერის სახელი, საუკეთესო რაზმი თუ რაზმეული, შეტანილი იქნება საბაბო დავაზე.

კომკავშირული ორგანოები დაგეხმარებიან თქვენს კლუბებში, კლუბებსა თუ პარტიებში. აგრეთვე სანაპიროებზე სპორტული მოედნების, სხვადასხვა სახის საქონელების, სათამაშო კუთხეებისა და ოთახების მოწყობაში. მალე თქვენთვის კინო-თეატრებში გაშვებულ იქნება სექციალური სენსები, ზოგჯერ კი კომკავშირულთა დახმარებით ფილმებს ნახავთ თქვენთვის შეიქმნება სიმღერისა და ცეკვის პიონერული ანსამბლები. შეიქმნება აგრეთვე საკავშირო ლენინური პიონერული ორგანიზაციის სიმღერა.

თქვენი რაზმეულის მუშაობა არ იქნება ხალისიანი და მხიარული, თუ მას არ ეყოლება თავისი მომერღლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები. ამიტომ, პლენუმის მიზნობის საფუძველზე, უფრო რაზმში შეიქმნება გუნდი, მხატვრული თვითმოქმედებას წრე. დიდ ქალაქებში შეიქმნება სიმღერისა და ცეკვის პიონერული ანსამბლები. შეიქმნება აგრეთვე საკავშირო ლენინური პიონერული ორგანიზაციის სიმღერა.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ თქვენი მეგობრობა მოძვე რესპუბლიკების პიონერ-მოსწავლეებთან, დროდადრო მოგვეცემა საშუალება ერთმანეთის ნახვისა, ადგილზე ჩასვლით, გარდა ამისა, თქვენს უცნობ მეგობრებს შეგიძლიათ ამანათის საფუძველით გაუცვალოთ ჰერბარიუმები, კოლექციები, ნაქარგები, შეგიძლიათ დაუსწრებლად გამოიწვიოთ ისინი საკერძო შეჯიბრებებში, სავაზრაო ტურნირებში, საუკეთესო ნახატებისა თუ ფოტოსურათების კონკურსში. მეგობრობის სიმბოლოდ რესპუბლიკების დედაქალაქებში თქვენს მიერ გაშვებულ იქნება მეგობრობის ბალები.

უკვე დღის წესრიგში დგას საკავშირო პიონერული შერების ჩატარება და მალე თქვენი რაზმებისა და რაზმეულების საუკეთესო წარმომადგენლები შეხვედებიან სხვა რესპუბლიკათა პიონერულ აქტებს.



უცხოელ მოსწავლე-პოინერებთან მეგობრების განმტკიცების მიზნით, შეგიძლიათ თქვენს შერეებებზე მიიწვიოთ უცხოეთიდან ჩამოსული დღეგაცემები, შერეებებზევე წაიკითხოთ სხვადასხვა სოციალისტური სახელმწიფოს პოინერ-მოსწავლეებისაგან, ან პოინერული რაზმეულებისაგან გამოგზავნილი წერილები.

იმისათვის, რომ თქვენი მუშაობა უფრო ხალისიანად წარიმართოს, პლენუმზე დაადგინებ რომ, მოხდება პოინერების დაყოფა ასაკის მიხედვით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთელი რიგი პოინერული რაზმები ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქაზნებთან, კოლმეურნეობებთან, მანქანა-სატრაქტორო სადგურებთან, საწარმოთა კლუბებთან. ამიტომ, პლენუმმა გადაწყვიტა, რომ პოინერული რაზმები შეიქმნას არა მარტო სკოლაში კლასების მიხედვით, არამედ სახლ-მმართველობებთან, სკოლისგარეშე დაწესებულებებთან, კლუბებთან. მაგრამ, სადაც არ უნდა შეიქმნას ასეთი რაზმი, ყოველი მათგანი შეუვანდელი იქნას სკოლის რაზმეულში.

პოინერული მუშაობის პრაქტიკაში ხშირი იქნა შემთხვევა, როცა რგოლების შექმნის დროს, მხედველობაში არ იღებდნენ მოსწავლეთა ინტერესებს, მათ ურთიერთ დამოკიდებულებას. ამიტომ, რგოლში ხშირად შექანაქურად, მერხების მიხედვით აერთიანებდნენ ბავშვებს.

რასაკვირველია, ასეთ რგოლებში მუშაობა ვერ აეწეობოდა.

პლენუმის დადგენილების საფუძველზე, უმცროს ასაკოვანთა რაზმში რგოლების შექმნა არაა საჭირო. უფროს ასაკოვანთა რაზმებში კი შეიქმნება არა მარტო მუდმივი, არამედ მოკლედროიანი რგოლებიც, რაიმე საქმის განხორციელებასთან დაკავშირებით.

პოინერულ ორგანიზაციაში შესვლის მსურველმა მოსწავლემ თავისი სურვილი რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს, ან უფროს პოინერულმძღვანელს უნდა გამოუცხადოს. იგი სკოლის უფროსი აზნაავების, უფროსი პოინერების, უფროსი პოინერულმძღვანელის და კომკავშირების დახმარებით გაეცნობა სახეიმი დაპირებას და „ნორჩი პოინერის კანონებს“. შესარულებს რა რაზმეულის საბჭოს დაავლებას, რაზმეულისავე შერევა მიხედვების მისი მიღების შესახებ. მიღების დროს მოსწავლე სახეიმი შერეაზე, თავისი აზნაავების წინაშე და, აგრეთვე, უფროსების (ძველი ბოლშევიკი, სამამულო ომის ან შრომის გმირი, დეპუტატი, წარმოების მორჩივე მუშაკი) თანდასწრებით წარმოთქვამს სახეიმი დაპირებას.

ასეთი შერეებები სჯობია ჩაატაროთ სადღესასწაულო

დღეებში, სახეიმი ვითარებაში, არა მარტო სკოლებში, არამედ დიდი ლენინისა და სხვა გამოჩენილ რევოლუციონერთა, ან სამამულო ომის გმირთა ძეგლებთან, აგრეთვე მუზეუმებში, კლუბებში.

ყოველმა პოინერმა კარგად უნდა იცოდეს პოინერული დღეებისა და სახეიმი დაპირების მნიშვნელობა.

პოინერულ რაზეებში შესვლა შეიძლება 10 წლის ასაკიდან. ორგანიზაციის წევრობა გავრცელებია 15 წლამდე. უფროსი პოინერული რაზმის საბოლოო ანგარიშებში, მისი ვაცობა, უნდა ჩატარდეს სახეიმი პოინერულ ხაზზე, სადაც დასახლებული უნდა იქნენ საუკეთესო პოინერები. უფროსებმა თავიანთი საუკეთესო ტრადიციები უნდა გადაულოცონ უმცროს პოინერულ რაზმს.

პოინერულ რაზმებში გამოცდილ უფროსი ასაკის მოსწავლეს მინიჭებია „პოინერ-ინსტრუქტორის“ სახელწოდება. ისინი იმუშავენ უმცროს პოინერულ რაზმებში და ოქტომბრულთა ჯგუფებში.


პოინერულ ორგანიზაციაში შემოდებული იქნება პოინერის პირადი წიგნაკი, რომელშიც ჩაიწერება თურა დავალებები შესასრულა პოინერმა, რა შეისწავლამან რაზმში, და რა ნიშნებით დააჯილდოვდა იგი რაზმში.

პოინერულ რაზმეულებსა და რაზმებთან აღდგენილი იქნება ოქტომბრულთა ჯგუფები. ოქტომბრული შეიძლება გახდეს ყველა მოსწავლე. პირველი კლასიდან ოქტომბრულს მკერდის მარცხენა მხარეს უნდა ეკეთოს ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ოქტომბრულებს უხელმძღვანელებენ უფროსი ასაკის რაზმის საუკეთესო პოინერები, კომკავშირები. ისინი პატარებს დაეხმარებიან სწავლასა და შრომაში; შთაგონებენ სიუყარულს სიმართლისადმი; ასწავლიან ცეკვას, სიმღერას, თამაშსა და სატანას.

მომავალში პოინერული აქტივის სწავლება იწარმოებს შემდგომად:

ყოველ წელიწადს პოინერული აქტივი შეიკრიბება ქალაქგარეთ — ბანაკებში, პოინერულ სახლებში და საუკეთესო სკოლებში, სადაც ჩატარდება რაზმეულისა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეების, კვლევის საჯივის რედაქტორების, მესაყიერების, მედოლეების მეცადინეობები.

იმისათვის, რომ რაზმებსა და რაზმეულებში საინტერესო და შინაარსიანი მუშაობა იქნას გაშლილი, შეიქმნება ლენინის სახლობის რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური პოინერული ორგანიზაციების საბჭოები. შეიქმნება აგრეთვე ხელმძღვანელი ორგანო — ცენტრალური საბჭო.



როგორ ესწავრა შურა ლენინს

ეს ისტორია მაშინ მომავრდა, როცა მოწაფეების ძველ რვეულების დასტას ვარჩევდი. ამავი სოფელ კრიუკოვში, 1920 წლის 1 სექტემბრის წინა დღებში მოხდა.

სკოლაში უკვე ყველაფერი მილაგებულია: წკარილი გააქვს სუფთად დაწმენდილ ფანჯრის მინებს, ყვითლად ელვარებს ქვიშით, გლეხურად მოხეხილი საკლასო ოთახების იატაკი. მწვანედ ღაღანებენ მაღალი ფიკუსები. მე მიყვარს ჩემი სკოლა. ვტკბები მისი სისუფთავით, სოფლის სკოლის რაღაც განსაკუთრებული სიმკურდროვით.

უცრად ოთახში მარია შემელიოვა შემოვიდა; თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი ახლდა თან. პირველ შეხედვისთანავე მიხვდებოდი, — ყმაწვილი ქალაქელი იყო.

მარიამ მიაშო, რომ ეს ბიჭი მისი ობოლი შვილიშვილი იყო. იგი მამასთან ერთად პიტერში ცხოვრობდა. ჰოდა, აი, შვილი რევოლუციის დროს მოუკლეს მარიას, რძალი კი პუტის საზოგადოებრივად წასულა სადღაც და შინ აღარ დაბრუნებულა.

— დარჩა შურკა მარტო და აი, კეთილმა ადამიანებმა ბავშვი ჩამომიყვანეს. ახლა სწავლა უნდა. იქ მესამე კლასში დადიოდა. ჰქენი სიკეთე, ჩასწერე მეოთხეში.

ყმაწვილი ყურადღებით შევათვალეთერე. მოწაფეების მისაღები დავთარი გადმოვიღე და შიგ ჩავწერე: „შემელიოვი ალექსანდრე ივანეს-ძე, დაბადებული 1903 წელს, პეტროგრადელი მუშის შვილი, ობოლი. მეოთხე კლასში!“

ასე დაიწყო შურამ სწავლა ჩვენს სკოლაში. იგი წუნარი და ცოდნისმოყვარე ბიჭი იყო. უყვარდა სკოლა, წიგნები. მალე შემეთვისა. ხშირად გაკვეთილების შემდეგაც რჩებოდა. მიყურებდა, როგორ ვასწორებდი რვეულებს.

ხანდახან დაკვირვებით მომაჩერდებოდა, თითქოს რაღაც უნდოდა ეკითხა. და აი, ერთხელ მკითხა კიდევ:

— თქვენ გინახავთ ლენინი?

— არა, არ მინახავს.

— მაშინგმა კი ნახა. მერე სულ აპირებდა ლენინთან მისვლას, უკვე საშვებიც კი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა... მოკლეს.

— ვინ მოკლა?

— არ ვიცი. სმოლისს ახლოს გუშაგად იდგა და აღარ დაბრუნებულა. დილით წითელგვარდიელებმა მოსვენეს... დედა ტირიდა, მე კი არა მჯეროდა. მამას ძალან ვუყვარდი. სულ ლენინზე მეღაპარაკებოდა, მასთან მისახველად ემზადებოდა, ერთი ფურცელიც კი მაჩვენა... ჰოდა, მერე მე და დედამ მამის წიგნები და ქაღალდები გადავარჩიეთ და მე ის ქაღალდი ვიპოვე... გნებავთ გაჩვენოთ?

შურამ ხალათის შიგნიდან დაქექილი უბის წიგნაკი ამოიღო, გადაფურცლა და პატარა ქაღალდი მომაწოდა, რომელზედაც ილიჩის დაუფიწყარი ხელწერა იყო:

„დაუბრკოლებლევ გამოუშვიო ჩემთან.“

ულიანოვი-ლენინი“.



და აი, ერთხელ მკითხა კიდევ:—თქვენ გინახავთ ლენინი?

არც წელი და არც რიცხვი. ეტყობოდა ნაჩქარეად იყო დაწერილი.

— ეს ხომ ლენინის ნაწერია?
— დიახ, ლენინის. მისი ხელია.
— ამ ბარათით მე თუ შემძლია ლენინთან მოვხვდე, მამაჩემის მაგივრად მე ველაპარაკო... შეიძლება?
— კი, მაგრამ, ლენინი ხომ ახლა მოსკოვში ცხოვრობს!
— ვიცო... კრემლში... ვიპოვი.
— შენ რა, მართლა სერიოზულად ფიქრობ ლენინთან წახვალს? ეგ არც ისე ადვილი საქმეა... ბილეთს ფული უნდა, თანაც მთელი ღამის სავალზეა მოსკოვი. მარტო მგზავრობაც საშიშია. ბებიაც, რა თქმა უნდა, არ გაგიშვებს.

— არაფერიც არ არის საშიში! ლენინის ნახვა მინდა, მასთან ლაპარაკი. მამას არ დასცალდა, მე მაინც ველაპარაკებო.

— მაინც, რაზე აპირებ საუბარს?
— ყველაფერს მოვუყვები. აჰ, გასივებული და ძუნ-წი კულაკები ცხოვრობენ. სულ რაღაცას აპირებენ... ჩურჩულებენ... გუშინ მე თვითონ ვნახე... ვასილ გერასიმოვთან იკრიბებოდნენ...

მე ყურადღებით შევყურებდი ამ ქერათმიან ბიჭუნას — დაქექილ უბის წიგნაკს რომ მწრუნეველობით ზგევდა გაზეთში.

სექტემბრის მიწურული იყო. არაჩვეულებრივად შვინი დარები იდგა. გაკვეთილების შემდეგ სწორად დამყავდა ბავშვები მახლობელ ტყეში სოკოს საკრეფად. შურა ყოველთვის გვერდით მდგა. დაფიქრებული და ყურადღებიანი ბიჭი წუთითაც არ მშორდებოდა, თავის სოკოებს ჩემს კალთაში აწყობდა და ყოველთვის რამეს მიამზობდა პიტერში გატარებულ დღეებზე.

ერთ მშვენიერ დილას იგი სკოლაში არ გამოსცხადლა. გაკვეთილების დამთავრებისას კი ატირებული მარია შემელიოვა ამოვარდა ჩემთან:

— წავიდა ჩემი შურკა, მოეწყინა და წავიდა—უთუ-ოდ ისევ პიტერში რითი წავიდა? რომელი ფულებით? იქ ხომ მას აღარავინ ჰყავს... რა ვქნა ახლა?! — ქვითი-ნებდა შეწუხებული ქალი.

როგორც შემძქლო, დავამშვიდე. გულში კი ვფიქრობდი, რომ პიტერში კი არ იყო მისი შურკა, არამედ მოსკოვში, ლენინთან.


გავიდა ორი თუ სამი დღე. როგორც ყოველთვის, კრიუკოვები ბავშვები პირველნი მოვიდნენ — მათი სოფელი სკოლაბთან სულ ახლოს იყო. ვხედავ... შურკაც მათთანაა, პოდნავ დაცხებენილი, მაგრამ წელში გამარ-თული, მკაცრი იერიით. ბავშვები შემომეჩვივნენ, ერთ-მანეთს არ აცდიდნენ, ყვიროდნენ:

— დილის მატარებლით ჩამობრძანდა, ამბობს, ლენინ-თან ჰუავაიო, მოსკოვში!



გაკვეთილების დამთავრებისას ატირებული მარია შემელიოვა ამოვარდა ჩემთან:—წავიდა ჩემი შურკა...

— უთუოდ ტყუილებს ამბობს...
— რას ამბობ, აკი საშვი ჰქონდა...
— აი, ბედნიერი! ლენინი ნახა!
— დილა, სწორედ?! უთუოდ ვლადიმირზე დაყია-ღებდა, ბაწარში სოკოებს ყიდდა... აშკარა სიძულძილით წაილაპარაკა კულაკის შვილიშვილმა, სერიოჟკა გერასიმოვმა.
— ამ სიტყვების გაგონებაზე შურა მოტრიალდა.
— მა, ნახე... არა გჯერა?!
და მან ჩანთიდან ნეკრასოვის ლექსების პატარა ტომი ამოიღო, მაგრამ სერიოჟკას კი არა, მე მომანწოლა. წიგნი მწრუნეველი ხელით იყო გახვეული გაზეთში. პირველ ფურცელზე კი ილიჩის ხელწერა იყო:
„სახსოვრად შურა შემელიოვს, მშურარეოლუციონერის შვიკს.“
ულიანოვი-ლენინი.
იყავი ისეთი, როგორც მამაშენი იყო.“
როცა ეს სტრიქონები ხმამაღლა წავკითხე და, რაც მთავარია, ლენინის ხელმოწერა ბავშვებს ვაჩვენე, ყველა სერიოჟკასკენ მიტრიალდა. შურასკენ კი არა, სწორედ სერიოჟკასკენ.
— ახლა რაღას იტყვი? შენ კი არ გჯეროდა!
— შურა ტყუილს არ იტყვის!
— მოგვეყვი როგორ იყავი ლენინთან, — კრთხმად დაიძახა ყველამ.
აი, რა გვიამბო შურამ.



მე ჯერ კიდევ მამარჩემი მიამბობდა, თუ რა შესანიშნავი დამიანია ლენინი და როგორ უყვართ იგი მუშებს. როცა მამარჩემი სმოდნო. საგუშაგოზე იდგან, ლენინს ხედავდა ხოლმე. ერთხელ ელაპარაკა კიდევ, მაგრამ ყველაფრის მოყოლა ვერ მოასწრო: ილიჩი, სადაც, სხლომაზე გამოიძახეს.

აო, სწორედ მაშინ წაუწერა საშვი ლენინმა მამარჩემს: „ამ ქალღმერთი უსათუოდ გამოგვიგებენ ჩემთანო“.

მეც სწორედ ეს ქალღმერთი გამომადლა. მამილოს მაგივრად მე გადავწყვიტე ლენინის ნახვა; ბევრი რამ მქონდა სათქმელი: პიტერში ჩვენს გვერდით ვიღაც მტერი ცხოვრობდა. საეჭვო პირები დადიოდნენ მასთან, ჩაიკეტებოდნენ და კამათობდნენ, თუნდაც აქ, ჩვენთან, რამდენი კულაკია!

გავტახე ჩემი კატა-ყულაბა, (ჯერ კიდევ პიტერში დიდი ხნის წინად ნაყიდი) — დავთვადე ფული, ოცდასამი მანეთი აღმოჩნდა. ფრთხილად ქალღმერთს გადავხვიე და შევინახე. ბებიას პური გამოვართვი და საღამო ხანს სადგურისაკენ გავწვიე. ბებიაჩემს ეტყვიც არ აუღია: აქ ხომ ჩვენებურები სადგურზე სასიეროდ გადიან საღამოობით. ჩემი ფული სწორედ ბილეთს იყო. ჩავჯექი მატარებელში და მოსკოვისაკენ გავწვიე. მთელი დამე ვაგონში თვალი არ მომიხუჭავს. მეშინოდა მოსკოვი არ გამომპარვოდა. დილის ექვს საათზე მოსკოვში ვიყავი. გადმოვედი ვაგონიდან... ღმერთო ჩემო! რამდენი ხალხია! სად არის კრემლი? საით წავიდე? ვიკითხე, წითელი მოედანი სად არის-მეთქი. ძია, რომელსაც ვკითხე, ძალიან კარგი კაცი გამოდგა: „წამოდი, ტრამვით მიგიყვანო“, მითხრა.

ჩავჯექით. წავედი. ესეც წითელი მოედანი! ავხედე კოშკზე საათს — დილის შვიდი საათია. აღრეა-მეთქი, ვიფიქრე, ლენინთან მისვლა. ალბათ ჯერ სძინავს კიდევ. ვუვლი და ვუვლი ირგვლივ მოედანს. ჯერ ცოტა იყო ხალხი, მერე თანდათან იმატა.

ზოგიერთები კრემლისაკენ უხვევენ, გუშავს რაღაც ქალღმერთს უჩვენებენ და კრემლის ჭიშკარში შედიან.

მეც ამოვიღე ჩემი წიგნაკი, ილიჩის საშვი მოვინახე და გუშავისაკენ გავემართე. გუშავმა ფურცელი გამომართვა, წაიკითხა, მერე გვერდით მდგარ გუშავს უჩვენა:

„დაუბრკოლებლივ გამოუშვით ჩემთან“.

გუშავებმა ერთმანეთს გადახედეს, ფურცელი დამიბრუნეს და შედიოდნენ, მითხრეს!

ცას ვეწვი სიხარულით! ქალღმერთი შევინახე და ჭიშკარში შევედი. მაგრამ, ჰაუ! რამხელა მოედანია! სად გინდა წახვიდე? სად ცხოვრობს ლენინი? აქ კი ჩავფიქრდი, დავდექი და ვდაგევიარ. ჩემთან ისეც გუშავი მოვიდა და მკითხა:

— სად მიდისხარ? აქ როგორ მოხვდი? ვაჩვენე ქალღმერთი.

წაიკითხა, იმ გუშავით ხელში ატრიალა...

— ვერაფრის იტყვი, ნამდვილად ლენინის ხელია... ჰოდა, რაღაც დედგარხარ? წადი! აი, იქა იმ კარებთან მიიღე ლენინის იქ ნახვა.

საითა და მისასწავლა, მეც იქით წავედი. ვხედავ, კარებიდან პალტოგანსილი კაცი გამოვიდა, ეტუბობდა ჯერ ვერ მოესწრო ღიღების შეკერა, თავზე ქუცს ისწორებდა. მისკენ გავწვიე. ვიფიქრე, ამ კაცს ვკითხავ ლენინი სად ცხოვრობს-მეთქი. მივიღი... ვხედავ... ეს ხომ თვითონ ვლადიმერ ილიჩია! სიხარულმა ამიტანა:

— გაბარჯობათ, ვლადიმერ ილიჩი! თქვენთან მოვედი, — ვუბნენები მე.

— ჩემთან? რაშია საქმე? საიდან? აბა, მამამე! წუხელ დამით გვიანობამდე ვიმუშავე და ახლა სასიეროდ გამოვედი. შენც წამოდი ჩემთან ერთად...

ჰოდა, წავედი. მან მე მეფე-ზარბაზანიც მაჩვენა და მეფე-ზარიც: მიამბო, თუ როგორ ებრძოდნენ მუშები იუნკრებს კრემლისათვის. მერე გამომკითხა როდის და



რისთვის ვარ ჩამოსული. მეც ყველაფერი ვუამბე: მამა-ჩემზეც, მის საშვეტეც, იმაზეც, თუ როგორ უნდოდა ვლადიმერ ილიჩის ნახვა, მასთან საუბარი... როგორ მოკლეს... ერთი სიტყვით, არაფერი გამომჩინია...

მე ვუვები, ის კი უფრო მიგდებს, სიტყვას არ მაწყვეტინებს. მხოლოდ მისი ხელით დაიწყო საშვი მთხოვა მეჩვენებინა. „მამ, მამ... ნამდვილად ჩემია“

დიღნას ეპარტო. ყურადღებით მისმენდა. მერე ზოგი რამ თვითონაც გამოკითხა სკოლის შესახებ: რომელი წიგნებით ვსწავლობთ, რაზე ვჭრებ, როგორ არის ქაღალდის საქმე, ბევრნი დავდივართ თუ არა სკოლაში ბავშვები; თანაც, დამავალა თქვენთვის გადმომეცა, რომ ყველამ იარაღი სკოლაში და კარგად ისწავლოთ. მეც შევპირდი. მერე ვლადიმერ ილიჩმა სახლში შემიბატონა, — უბრალოდ ცხოვრობს...

გავიხადეთ და ოთახში შევიდით.

— აი, შენ აქ, ამ დივანზე დაჯექი, მე კი ნადედა კონსტანტინოვნას ვთხოვ ჩაი დაგვაღვივინოს, — მითხრა მან და ოთახიდან გავიდა.

დივანზე დაჯექი, სწორედ ეს წიგნი ავიღე და კითხვა დავიწყე. უცტრად ჩამეძინა. მივლი დამე ხომ მატარებდნენ არ მიძინია!

უთუოდ დიღნას მეძინა. გამეღვიძა. დემროო ჩემო! სად ვარ?! ყველაფერი გამახსენდა. უკვე ბინდებოდა. ვხვდა დივანზე წარწერა მატარებელზე: „შურა! როცა გაიღვიძო, არასდ წახვიდე. ნადედა კონსტანტინოვნა მალე დაბრუნდება. საქმელი მაგაღვაწა. როცა მოგშვინდეს, ჭამე რაც გინდა. ჩაი შენ თვითონ დაისხი!“

აი, აქ კი შემეშინდა. წასვლა დავაპირე. ჭუდისა და პალტოს ძებნა დავიწყე, მაგრამ ვერ ვიპოვე! ოთახში სულმთლად ჩამოხსენდა. დივანზე ჩამოვჯექე და ველი რა მოხდებოდა. მალე ნადედა კონსტანტინოვნაც მოვიდა და სინათლე აანთა.

— რაო, ბებუნე, მოგეწყინა? არა უშვას! ახლა ვისა-ლივბეთ. ვლადიმერ ილიჩი მალე მოვა.

მე არასოდეს არ დამვიწყებდა, ბავშვებო, ის საღამომო ილიჩი მოვიდა. მარტო არ მოსულა — სვერდლოვი მოსყვა. ილიჩმა ჩემ შესახებ უამბო სვერდლოვს. ბევრი იცინეს, მერე კაბინეტში გავიღინენ. ნადედა კონსტანტინოვნა კი მე მესუბურებოდა, მირჩევდა ბავშვთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებას: დაე, იზარდეთ ნორჩ კომუნისტებად, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლებად. თქვენი შესახებაც მეკითხებოდა, როგორი ხართ თქვენ, — მომმართა შურამ და მე შემომხუდა.

ღამით დივანზე დამაწვინეს, დილით კი ვლადიმერ ილიჩმა თავისი შოფერი გილი გამოიძახა, ჩემზე მიუთითა და უთხრა: დათვალიერებინე მოსკოვი, მერე გადი კურსკის სადგურზე — ბილეთი შეუკვეთე ზევისათვის, კრემლში მოიტანონ, თორემ სწავლას მოცდება.

მივლი დღის განმავლობაში, სექტემბრის ადრეული



ბინდის ჩამოწოლაში, მოსკოვს ვათვალისწინებდი. საღამოს ვლადიმერ ილიჩი რომელიღაც კრებაზე იყო, მე და ნადედა კონსტანტინოვნა კი პეტროგრადს ვივლიდით, ვიბორგის მხარეს. მოვუყევი მამაჩემის შესახებ, ილიჩის ნაწერიც ვუჩვენე, რომლითაც კრემლში შემეშინებდა.

მეორე დღეს, ახლა უკვე ნადედა კონსტანტინოვნასთან ერთად, კრემლს შვინიდან ვათვალისწინებდით ნახევ ოთახები, სადაც მეფეები ცხოვრობდნენ. ღამით კი შინ გამაფრებავდი... ეს იყო და ეს... თუმცა არა გამომშვიდობებისას ვლადიმერ ილიჩმა ეს წიგნი მაჩუქა და მითხრა: „მე თვითონ ძალიან მიყვარს ნეკრასოვი. ზნობად იყოთხე იგი და, საერთოდ, ბევრი იყოთხე. წიგნი ჩვენი დღიე მასწავლებელია“...

ღეინმა შუბლზე მაკოცა და მანქანისაკენ წელა მიბიძგა. ნადედა კონსტანტინოვნამ რაღაც პატარა ყუთი მომცა — ეს ბებნას მიუტანეო. ყუთში შაქარი და ჩაი აღმოჩნდა. საჩუქრის მიღებისას ბებნამ იტირა კიდევც...

შურას მიერ უბრალოდ მოყოლილ ამბავს სუნთქვა-შეკრულინი ვუსმენდით.

მე შევნიშნე, რომ ამ დღიდან შურა ბავშვების მეთაური გახდა. კარგად არ მახსოვს, ორი თუ სამი წლის შემდეგ პიონერული რაზმი ჩამოვყალიბებთ. ერთხელ, (ჩვენს სიხარული საწვდარი არ მქონდა) ამანათი მივიღეთ. შვი დროშა, დოლი, საყვირი და ყელსახვევები-სათვის წითელი ქსოვილი აღმოჩნდა. ამანათი კრემლიდან იყო. შვი ნადედა კონსტანტინოვნას პატარა წერილი იყო.

იგი ამ საჩუქრის პიონერებს უგზავნიდა სრული რწმენით, რომ შურამ უკვე მოასწრო რაზმის ჩამოყალიბება. და იგი არც შემდეგარა შურაში.

თარგმნა ე. კეკელაძემ



ქორეთელი არქეოლოგები

თუ აღმანი საჩხერის მხარეს მოხვდა, კეთილი მეგზურივით აედევნება ნეტარი აკაკის ლანდი. ყველაფერში მას ამჩნევს და ყველაფერს მისი წიგნებიდან უყურებს... აქ ყველგან მოძიებდა იყოს აკაკის ნაფეხური...

სულ ახლოა სოფელი სხვიტორი, რომელსაც როგორც აკაკი იტყვოდა, ორი მთა აკრავს: გონჯისხევეყერეთი და საფლავნიშვილო, რაჰამდე რომ აღწევს. შუაში ჩამოხეობის მდინარე ჩიხურა—აკაკის „საკუთარი ემბაზი და პირველი სარკე“. მას პატარ-პატარა მთის მდინარეები ერთიან—გონჯურა, კვერეთულა, სკინავა, დიდი ღელე და საბუე. გონჯურას გარდა ყველა მდინარე საკალმახა. თუმცა ხელს სხვაც ბევრი ამოსდევს: წვერა, ტობი, ქაშაპი, ნაფოტა, ღორჯო, ჩხაპი და გველანა.

ორ ნაბიჯზე სოფელი სავანეც. საუცხოო რამ „როგორც სათვალთვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც“. ნამდვილი „მოსასვენებელი ადგილი“. ათასფერად მოხალჩებულა კორტობიანი ველები. გზისპირებზე ათასნარი ყვავილი და ბალახი ჩამწკრი-

ვებული. აკაკიმ სულ იცის მათი სახელები—ფირისულა, კორჩიოტა, შროშანა, ყვივისფრჩხილა, ქალაკოდა, ფრთაშეკრილა... ამ გზებზე იწყება აკაკი. აქ მისი სათავია.

სახერესთან ყვირილა წმინდა და ქვინი. აკაკი ხშირად დადიოდა ყვირილაზე სათევზაოდ. „პატარებს ჩქიფით“ იპერდა, დიდებს კი „ხელაობით“.

სახერის თავზე ცნობილი ციხე „მოდინახე“ გაღმომდგარა. „მოდინახე“ წერეთელს დიდ წინაპარს—ქველი წერეთელს ეკუთვნოდა. აქი აკაკიც ამბობს ნათლაზე, ცოტენ დადიანის ღირსეულ მეგობარზე:

„ქალია ქველი წერეთლის, პატრონი „მოდინახისა“.

მატიანეში აღნიშნულია, რომ საჩხერის მხარეს გადიოდა აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველომდე გაღმომავალი უძველესი გზა. ეს გზა ლიხისმთიან და ქრთახევით სოფელ კორბოულზე გაღმომიდიდა, მდინარე ყვირილასა და ფსიდის ხეობით შავი ზღვის სანაპიროსაკენ მიემართებოდა. ზოგჯერ მას შორეული აზის ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ მიმავლი ვაჭრებიც იყენებდნენ.

ჩვენ საჩხერეში კვირა დღით ჩაველით. გზაგასაყართან მარჯვნივ გადავხვიეთ და სოფელ ქორეთისაკენ მიმავალ გზას დავადექით. ქორეთელ მოსწავლეებს სასკოლო-ისტორიული მუზეუმში მოუწყვათ და მის დასათვალთვებლად მივდივართ.

წინა დღის ნაწივამარი იყო, მაგრამ ტალახს არ შეუწუხებდითარ. ხალხს გზა თეთრი კლდოვანი ქვაფენილით მოუტია, და თითქო აღარც აღმართის ავლა ქრის. ქორეთამდე სოფელი კალვთა ავიარეთ. შემოდგომის


ღალა სოფლებებს მარნებსა და ბელღებში დაიბინავებინათ. საღალა აკაკის „ჩემს თავდადასავალში“ აღწერილი ზემო იმერელი გლეხის ისლით გადახურული ხის სახლი, წინა და უკანა კარებით, უფანჯრით-სარკმლო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით საიდანაც კვამლი




იტალიის ძველბრძნულ ახალშენაში—ლუკანიაში ჩვენს წელთაღიხებამდე შეიქმნა საუფუშეში მიჭრილი ფული.

გადიოდა და სამაგიეროთ სინათლე შემოდიოდა. გარშემო მარტო მიწა და მთემა აკაკისდროინდელი. დანარჩენი ყველფერი ახალ აღამიანის შექმნილია.

სკოლაში არაივნი დავგვიხვდა. სკოლა ორსართულიანი, თეთრად შეფუთილი შენობაა. წინ ორი ნორჩი აღვისხეა დარგული. ჩვენ „შეპართან მდგარ ხურმისხესთან ჩამოვსხედით. საიდანაც განჩადა ცისფერთვალუბინი პატარა გოგონა. ჯერ სოგვესალმა, გაიგო თუ არა ჩვენი მისვლის მიზეზი, ბოდიში მოიხადა და გაქრა. გზაზე წელა მოამაჯებდა ბერიკაცი. საღამო ვერ მოვასწარი. ვეღარ მოეთიმინეთ და გამოველაპარაკეთ. სოფელ ქორეთის სახელწოდებას, თურუნე, სხვადასხვაგვარად განმარტებენ.



მ ა რ ც ხ ი ე: „კარბინში“ ნაპოვნი ანტიკური ხანის თიხის ქურქული. ზ ე ვ ე თ, თ ა ვ ა რ თ ე: ნორჩი არქეოლოგი (მ ა რ ც ხ ი დ ა ნ მ ა რ ჯ ე ნ ი ე): ნათელა ხარაიშვილი, ომარ ენიაშვილი, ვალიდა ქაშუაძე, ჯემალ ლაყაბიძე, გოგუცა ქაშუაძე და რევაზ ნადირაძე.



ზოგი ამბობს, ხშირი ქარები იცის და სოფლის სახელიც აქედან წარმოდგაო—ქარეთა, რომელიც დროთა განმავლობაში ქორთვად სახეზეცვლიდა. (ქორთვი იმერეთის ზეგანზეა ვაშენებული და, მართლაც, ქაირანი ადგილია) ზოგი კი სხვანაირად განმარტავს—ქორთა სამყოფელი ყოფილაო. ერთ-ერთ ენოვოგრაფულ წერილში აკვივც ამბობს, რომ ამ მხარეში ბევრი იცის ძერა, შვადრდნი (სამშვადრდნი ქიათურასთან), ლაღი, მარჯვანი. უპირატესობას კი ქორს ანიჭებს, ანდა, რა გასაკვირია, საქართველოში ბევრ ადგილს ჰქვია ორბეთიც. ამ კუთხეს ვაშუშტი ბაქტონიშვილიც იხსენიებს თავის ცნობილ „გეოგრაფიაში“.

მაღე ვეზოში წითელეკლასიხვევიანი ბავშვები მოგროვდნენ. ვეცნობით ერთმანეთს. ისინი სახელგანთქმული პატარა ქორთული არქეოლოგები არიან. რამდენიმე უფროსკლასელიც მივიდა. „გვილი, დევაშუმოსილა“ არქეოლოგები ისტორიის მასწავლებელს მიხეილ გოგატაშვილს მოჰყვენენ.

შვიდივარი სკოლის ერთ-ერთი საკლასო ოთახში მოწყობილ პატარა ისტორიულ მუზეუმში. თავისი მინიატურული მისუხედავად, მუზეუმი დიდ-შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. მუზეუმს ჯერჯერობით ორი მთავარი სექცია აქვს—პალეონტოლოგიური და ისტორიულ-არქეოლოგიური. განსაკუთრებით მდიდარია ისტორიულ-არქეოლოგიური სექცია, რომელსაც ხუთი განყოფილება აქვს: ქვის ხანის, ბრინჯაოს ხანის, კერამიკის, რკინის ხანისა და ნუმიზმატიკის. მუზეუმში გამოფენილია ისტორიული შინაარსის სურათები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული არქეოლოგიური პერიოდიზაციის ტაბულა, ნორჩ ისტორიკოს-მხარეთმცოდნეთა წრის კედლის გაზეთის ნომრები, თბილისის პიონერთა და მოსწავლისთა სასახლისაგან ჯილდოდ მიღებული სიგელები. ამავე წრის ხელნაწერი ეურნალის ნომრები, სხვადასხვა თემატური აღომებები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული, სახეარის რაიონის ისტორიულ

დი ძეგლებისა და ადგილების ჩანაწატები და მაკეტები.

მუზეუმს აქვს სპეციალური კატალოგი, რომელშიც წარმოებს მოსწავლეთა მიერ აღმოჩენილი ექსპონატებისა და სამარხების აღრიცხვა, სათანადო ცნობების შეტანითა და აღწერით. ერთი სიტყვით, ნამდვილი მუზეუმი.

მეტად თავისებური ისტორია აქვს საქმისადმი დიდი სიყვარულითა და მონდომებით შექმნილ ამ პატარა მუზეუმს...

ერთხელ, მოსწავლე ღმურია გელიაშვილს სოფელ კალვითაში ციოვა ბრინჯაოს ფული, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო დამფრთხალი ხარი, მეორეზე კი მუხარაღიაში კაცის თავი. ღმურმა ფული ისტორიის მასწავლებელს აჩვენა. აღმოჩნდა, რომ ბრინჯაოს ფული ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეშია მოჭრილი. იტალიაში არსებულ ძველბერძნულ ახალშენში—ლუკანიაში. მასწავლებელმა ღმურის ისიც უთხრა, რომ ქართულ მიწაში ბერძნული ფულის პოვნა საქართველოსა და ძველი სამბერძნეთის სავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებელია.

მაღე თენგიზ ლომიძემ ხოსრო მეორის დროინდელი სპარსული ვერცხლის ფული მოიტანა, რომელიც აღამაინის ჩონჩხთან ერთად ეპოვნა

მინდროში. რეზო კაპანაძეს კი იმპერატორ ჰერაკლეს მიერ მოჭრილი ბიზანტიურ ვერცხლის ფულისნაბჭის მიგენა. მას მოჰყვა ქართული და რუსული მონეტები, სხვადასხვა დროის მრავალი ძველი მდელი და მდელიანი. თანდათან იყვებოდა და მდიდრდებოდა ნუმიზმატიკის განყოფილება.

გოგუცა ქაშუშაძის „არქეოლოგობა“ კი სულ სხვანაირად დიიწყო: ერთხელ, აღრე ვაზუფულზე, მინდროში ბატები ჰყავდა. ბატები ჯერ დინჯად სწიწნიდნენ ბატეცელასა და ფშალს. თუ ჯიჯალაყა შეხვდებოდა, ხომ უფრო კარგი. ბალახის წიწყნა-წიწყნაში ახალხელში გადასულეყენენ. უცებ, ყველ ერთ ადგილზე მოგროვოლყენენ და გნიასი შესდგომოდათ. აღამაინის ძველებს შეეშფოთებინა ბატები. იმ ადგილას უძველესი ხანის სამარხი აღმოჩნდა. შიგ მრავალი დიდმნიშვნელოვანი ნივთი იპოვეს—ბრინჯაოს მასარაგასხნის შუბის პირი, გვიანი ბრინჯაოს ხანის; ბრინჯაოს პატარა სატყერის პირი და ბალთები. ბატებმა რომის ვლადარჩენის შემდეგ მეორედ ისახეულეს თავი. გოგუცას „ნორჩ ლენინელი“ ამის შესახებ წერილიც გაუგზავნია—„არქეოლოგი ბატები“.

კვიე და ცილა ფარქოსაძეებმა სხვაზე ნაკლები ამაგი არ დაიორს



მორიგე ხასწარადი ხდომია, ხაღე ქორთული არქეოლოგები მასწავლებელ მიხეილ გოგატაშვილის ხელმძღვანელობით აღამაინის ჩონჩხთან ერთად ეპოვნენ.



გნეოლითის ხანის (3000—1500 წ. ჩვენს წილობრივებამდე) ნივთები: 1. კუხის დილა და პატარა ისრისწვერები; 2. კუხის დანის ნატეხები; 3. ნაშლისპირის კუხის ჩახართები; 4. ძეგლის საღვინა.

მუზეუმში. მათ თავიანთი სახლის გზოში მიაკვლიეს ადრე ბრინჯაოს ხანის ყორღანული ტიპის სამარხს, რომლის დიამეტრიც ოც მეტრს აღემატებოდა. სამარხში აღმოჩნის ჩონჩხთან ერთად, აღმოჩნდა სამი ცალი ბრინჯაოს ყუთაღმვეებული ცული, ბრინჯაოს ორი სატყვიარი, ორი ცალი საქინძი და თიხის დიდძალი ჭურჭლის ნაშხვრეები.

მაღე მოსწავლეებმა კოლექტიური არქეოლოგიური გათხრა მოაწყეს საჩხერის ახლოს „ნაჩერკეზევზე“ და სამუდამოდ წაართვეს მიწას ფეოდალური ხანის რკინის ბეგრი იარაღი და ხელსაწყო.

ქორეთელ არქეოლოგებს დღემდე სულ აღმოჩენილი აქეთ ათამდე დიდ-მცირეწილოვანი სამარხი. მათ მასალებს კარგად იცნობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი. ერთხელ ეროვნული შალვა ამირანაშვილიც ეწვია მუზეუმს დასათვალისწინებლად და გასაცნობად. სულ ცოტა ხნის წინათ ქართველმა არქეოლოგებმა გათხარეს ომარ ეზიანაშვილის, რეზო ნადირაძის და ჯემალ ლაკაბიძის მიერ მიკვლეული „ქარახტინი“ წოდებული ადგილი. „ქარახტინში“ აღმოჩნდა ენეოლითის ხანის ადამიანის ნასადგომარი. ისტორიული თვალსაზრისით კუხის ბეგრი ძვირფასი ნივთი.

ერთხელ „ქარახტინიდან“ დაბრუნებულებს ქორეთის ახლოს ერთ ფშანთან შეუსვენიათ. წყალს ჰემზეთით სვამდნენ. ზოგი პირდაპირ ეწაფებოდა. წყლის ამოსაღები არაფერი ჰქონდათ. უტებ ომარ ეზიანაშვილს იტყე, ასეილთან, რაღაც თიხის ჭურჭ-

ლის ყელი შეგმნია. ბელად ამოელო მიწიდან. აღმოჩნდა მეოთხე საუწყუნის ანტიკური ხანის კოხტა დოქი და, რადგან „წყალი პატარისა“, პატარათი დაიწყეს. ალაბათ, თვით ძლევაპოსლი იმპერატორ ალექსანდრე მაკედონელს არ დაუღლეია ისე გემრიელად იმ დოქიდან წყალი.

პატარა არქეოლოგები უმნიშვნელო ნივთსაც არ ტოვებენ უყურადღებოდ. „სულ მიწას დაეყრებოთ და რაღაცას ეძებთო“. — იხუზრა ერთმა. თუმცა ეს მარტო ხუმრობა არ იყო. „თქვენ რაღა ნივთები იპოვეთ“ — ეკითხებოდა გუგული მაძგარაძეს, ნაწული ლაბაძეს და ნათელა ხარაიშვილს, პატარა ცქრიალა გოგონებს, ჩვენს გვერდით რომ დგანა.

პალეონტოლოგიურ სექციამო წარმოადგინილი უძველესი ფლორისა და ფაუნის ნაშთები ძირითადად მათ მიერ არის მოგროვილი. პალეონტოლოგიურ სექციამო კი წარმოდგინილია განამარხებულ ვეშაპისმაგვართა მალბები, ნეკნები, ქვალქეული ზღვის ზღარბები, ვაქევაგული ხე, ზღვის ნიებროვან ცხოველთა დანალექები...

ქორეთელი მოსწავლეები, რომ იტყვიან, თავიანთი ხუთი თითითი იცნობენ მშობლიურ მხარეს. მართლაც რომ კარგი მხარეთმცოდნეები არიან.

ცოდნის გაღრმავებაში მათ დიდად ეხმარება მოგზაურობა-ლაშქრობები. ხშირად მრავალდღიანიც.

ნორჩ არქეოლოგებს კარგადა აქვთ შესწავლილი ქორეთის მახლობლად თაროს კლდეში კარტული გამოქვაბული, პირველყოფილი ადამიანის ნასადგომარი მთლიანად სტალექტი-

ტიებითა და სტალამიტებით დაფარული. მისი სიგრძე 600 მეტრს აღემატება, და არაერთი ჩამოყვარდება სათაფლის ცნობილ გამოქვაბულს.

პატარა არქეოლოგები დიდი მონდომებით ემზადებიან XIII სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციისათვის. მუზეუმის მასალების მიხედვით ბევრი მათგანი შეტლსაინტერესო მოხსენებას აწვდიდა.

მათ განზრახული აქვთ, აგრეთვე, სასკოლო მუზეუმიდან შეარჩიონ არქეოლოგიური მასალების კოლექცია და სასურველად გადასცენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახსხლს არქეოლოგიური განყოფილების მოწყობად.

ქორეთელ მოსწავლეებს ისიც ემაცხებათ, რომ მათ მიერ შექმნილი პატარა მუზეუმი შეიძლება საფუძვლად დაედოს საჩხერის რაიონის სამხარეთმცოდნეო უფრო დიდ მუზეუმს.

მათი დიდი თანამეამაღლე აკაკი წერეთელი 1881 წლის 21 სექტემბერს, არქეოლოგებისათვის ვაშართულ ქართულ წარმოდგენაზე თავის სიტყვაში გულისტკივლით აღნიშნავდა: „საეჭო კი აღარ არის, რომ მრავალგვარად ტანჯულ კავკასიას, ანუ სულერთია ვსთქვათ, მისის უპირველესი და უწარჩინებულესი ხალხის, ქართველების ცხოვრებაში ბევრი ისხვადსხვა დროები ყოფილა ღირსა სამეცნიეროდ შესწავლისა და საქირო არა მარტო კავკასიისა და საქართველოს, თვით მსოფლიო ისტორიისათვისაც—მაგრამ ის ნიშნები და ის ნაშთები ჯერ ღარიბად არიან ნაჩერკეებში ჩამარხულად მიზნულად“. რაოდენ სასიხარულოა რომ, რომ ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და არქეოლოგების გვერდით პატარა ქორეთელ არქეოლოგებსაც თავიანთი უნაგვარი წვლილი შეაქვთ „ჩვენი მიწისკერძა ცხოვრების“ შესწავლის საქმეში.

მართლაც რომ სამაგალითოა მათი საქმიანობა.





იგაფეტი

ზღარბი და ლოკონა

ერთხელ ლოკონამ უთხრა ზღარბს:
 «მუდამ მოღუშული რად დადინხარ, ძმო, ბრაზმოიერულს ხმელ-
 ბაღ გტყევიან თმები!»
 «ქა, შენ რა გიშავს, თვალწერილავ, ისეთი ლორწოიანი და გა-
 სიპული ხარ, ყოველ ნახვრეტში იოლად შეძვრები, მე კი ბრძოლით
 ვიკაფავ ამ ქვეყნად გზას და ამიტომაც ხმელბად მექვა თმები».



მელა და აქლემი

ღრუბლიან დღეს ერთი მშვიერი მელა ამოცუნცუნდა სერზე,
 საკბილოს ეძებდა ჩირგვებში. როცა გადაიდარა და ზეციერმა მნათობმა
 ლანდი დაუნგრელა მას, გული მოიცა და დაიწადა მელიკომ:
 თუ სადმე ერთი აქლემი შემხვდა, წამოვაქცევ და ვისაუზმებო.
 შესალამოვდა. ლანდი დაჰკარგა სულმოკლემ და გრძელკუდამ.
 ახლა ესლა დარჩა იმედად: გომორენისკენ გავივლი, ეგებ ვირთხას
 გადავაწყდეო სადმე.
 ორღობეში აქლემი მოჰყავდა პატრონს. მელას გაეცინა, დანა-
 ქანდი რა გაასხენდა. პაუო, შეუძახა მეაქლემემ. აქლემმა წიხლი მია-
 ყოლა და ნეენის ძვლები ჩაუშტვრია ტრაპანას.



ძაღლი



მამაჩემს ეენახი ჰქონდა მდინარის გადაღმა. როცა ყურძენი
 მწიფობაში გადავიდა, დამავალა: ძაღლი გადაიყვანე გაღმა და ვე-
 ნახში დაბაბო—
 მთელი ღამე დაუცხრომლად ყეფდა ძაღლი, დღისით ვამჩნევდი:
 ყურძენს იბარავდა ვიდაც.
 მამამ მიბრძანა: ალბათ ქურდები შემოგვეჩვიენ და დაბმული ძა-
 ლლი აბა, რას დააკლებსო მათ. აქებდა კიდევაც ჩვენს ფხიზელ მყე-
 ფარს.
 მამაჩემში ბრძანებით ძაღლი აუეშვი, გვიანი ღამით მეც თოფიან-
 ნად ზეუდარაჯდი ქურდებს, მთვარიანი ღამე იყო და ვნახე: ძა-
 ლლი შუაგულ ვენახში შედიოდა, ერთს დაიყეფებდა, მისწვდებოდა
 ყურძენს, გადასანსლავდა, ისევ დაიყეფებდა...
 ამ იგავის მორალი ასეთია: ზოგი კაცი თოვად ჩაღის ავკაცობას
 და თავის დანაშაულის დასაფარავად მამაჩემის ძაღლივით უყეფს გა-
 მოგონილ დამნაშავეს.



ბუ და არწივი

ბუმ შეუთვალა არწივის: მოდი დავმზახლდე და ქალ-ვაჭი ვაქო-
 რწინოთო.
 დიდი ქორწილი გადაინახდა არწივმა, მოიწვია ბორები, ქორები,
 მიმინოები, კირკიტები, ჩხიკვები, კაჭკაჭები და კოტები. სუფრას ჩი-
 ტის რტყ არ აკლდა, მაგრამ ერთმა უსიამო ამბავმა ჩაფარცხა საქმე.
 დღისით გამართულ ქორწილში ბუს მართვემ ვეღარ დაინახა
 თავისი საქმრო, ხოლო ღამით გადახდილ ნაღიმზე სიძე არწივს მო-
 ერია ძილი.





კინოგოსტროვა



ანა, რომელი მონწაველი იქნება ჩვენში, კინოსურათი რომ არ ეჩანოს. მაგრამ ბევრ-მა არც იცის ალბათ როგორ იღებენ მას, რამდენი სხვადასხვა სახის სპეციალისტის შეთანხმებული მუშაობაა საჭირო კინოსურათის გადახალხებად.

უპირველეს ყოვლისა კი კინოსურათისათვის საგანგებოდ იწერება სცენარი ისევე, როგორც თეატრისათვის პიესა. კინოდრამატურგია დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი და კინო-სცენარი (კინომოთხრობა) ძალზე საინტერესოა წახაიოსხად.

ორასი წლის წინათ საქართველო დაქუცმაცებული იყო პატარა სამეფოებად. ქართ-ლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და აფხაზეთი ცალკე სამთავროებს წარმოადგენდნენ. ქართლისა და კახეთის მეფეები სპარსეთის ქვეშევრდომები იყვნენ, იმერეთ-აფხაზეთი-სა—თურქეთის.

კახეთში მაშინ მეფობდა ჩვენი სახელოვანი მეფის—ერეკლე მეორის მამა თეიმურაზი. ერეკლემ პატარაობიდანვე დამწყო ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და სიცოცხლის დახასრულამდე არ შეუწყვეტია იგი. მან გააერთიანა ქართლი და კახეთი, შემოიერთა განჯა-ერევნის სასანოები და იმერეთში გაამეფა თავისი შვილიშვილი სოლომონ მეორე, რაც ფაქტურად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას უდრიდა. წინამდებარე კინო-მოთხრობა გვიამბობს რამდენიმე ეპიზოდს იმ-დროინდელი საქართველოს ცხოვრებიდან.



გაზაფხულია. ჰყვავიან ატმის, ნუშის, ბლის და ვაშ-ლის ხეები.

ხელისგულივით ტრიალ მინდორზე მოჩანს გაბმული გულთნული. თავში,—უღელზე, ჩამომჯდარა თორმეტ-ცა-მეტი წლის სოფლის ბიჭი—დულაბა. ხელში სახრე უჭი-რავს, ხან ერთ ხარს გადაუსხაპუნებს, ხან მეორეს და წკრიალა ხმით მღერის:

— გალი, გამოდი გუთანოო... ღირღიტვე ბანი უთ-ხაროო...

დულაბას ხმას აძლევენ მომდევნო უღლებზე ჩამომ-ჯდარი ბიჭუნები: ეშმაკისფები თეღია, ჭიტესა და სხვები.

გუთანს ორივე ხელით ჩასქიდებია დულაბას მამა—შუხნის გლები უფლისა, და კვალში ჩამდგარი მძიმედ მიჰყვება ლარივით გაქიმულ ხნულს. მას ზურგზე თო-ფი ჰკიდია და წელზე მამაპაპური ხანჯალი.

ყანის ვანაპირას გამოჩნდა ათი-თორმეტი წლის ფეხ-შიშველა გოგონა. მას მხარზე კალათი გაუდგამს და ხელ-ში მოზრდილი ხელადა უჭირავს.

თედომ თვალი მოჰკრა "გოგონას და დულაბას გას-ძახა:

— მზექალას სამხარი მოაქვს ჩვენითვის დააყე ხარები.

მზექალა კი მოდის, ძლივს მოაქვს მხარზე გადგმუ-ელი კალათი. იმას მოჰყვება პატარა ბიჭუნა სოსე, რო-მელსაც წყლით სავსე ღოჭი გაუდგამს მხარზე. სოსეს კიდევ უფრო პატარა ბიჭი მოსდევს, მას ღვინით სავსე ხელადა აუხუტებია. სულ ბოლოს ერთი ციციქა გოგო მოდის, მას რამდენიმე შოთი აუღლივებია.

— ეს რა ამბავია!—წამოძიბა უფლისამ და მზექალას გასძახა: ასე პატარები ვინ გამოგიშვა ყანაში!...

— ბიცილა მარიამა თქვა, შორს ჯრ არის, აქვე ხნა-ვენ და წაიყვანეო.—უბასუხებს შორიდან მზექალა.—აი-ჩემეს წავგიყვანეთო და ტირილით კინლამ შუაზე გაიხინ...

— ჯერ შენ არ უნდა გამოეშვით და, ანა, მაგათი გამოშვება იქნება?!—გააქნია თავი უფლისამ და შუბლი-დან ოფლი მოიწურა. მერე ბიჭებს გასძახა:—დააყო ხა-რები. პური ვკამათო.

უფლისამ გუთანს თავი ანება და სხვებთან ერთად იმ ადგილისათვე გაეშურა, სადაც მზექალამ კალათი ჩა-მოდგა და სუფრის გაშლის შეუდგა.

— აი, გიხარე ჩემო მზექალა!—უთხრა უფლისამ და დოქს მიწვდა, მაგრამ ვერ მოასწრო მოეყვებინა, რომ ამ დროს ყური მოჰკრა უშარბე ცხენოსანთა თქარა-თქურს და საბრძოლო ყიფინას.



გურიელის თავში, უღელზე ჩამომჯდარა
მორბეტი-ტამბეტი წლის სოფლის ბიჭი დულაბა

— ჩქარა თავს უშველეთ! — დაიძრიალა უფლისამ და მბრძანა თოფი მოხსნა.

ყველამ მიატოვა სურთა, შებმული ხარები, და თავ-გამეტებით გაიქცნენ სოფლისაკენ.

* * *

სოფელში ალაქოთი და აურზაურია. სასწრაფოდ აურილან, მიუტოვებით სახლები და ცდილობენ ზეასწრონ ციხის გაღვანში. ზოგი ბარკი ეზიდება, ზოგი საქონელს გრეკება.

სოფლის შუაგულში დგას დიდგალავნიანი ციხე-სიმაგრე. ოთხივე კუთხეში მაღალი კოშკები აქვს დატანებული. ვაღებულ ქიშკარში შემობიან და შემობიან სოფლელები, ქალები ძუძუმწოვარა ბავშვებით, მისრწნილი მოხუცები, ავადმყოფები.

მინდორში მობრბის უფლისა თავისი შვილებით. ხანდახან მობრუნდება, დაიოკებს, ამოიღებს ნიშანში დაწინაურებულ მტრის მხედარს, დაიჭეპებს მისი თოფი, ვადმოყრავდება მხედარი და... ვარბის უფლისა, თან გზადაგზა ცდილობს თოფი დატენოს. ხან ერთ ბავშვს დაავლებს ხელს, აიტაცებს და მიაბრუნინებს, ხან მეორეს. ბიჭებსაც ჩაუვლიათ ხელი პატარებისთვის და მიაბრუნინებენ.

აი, ყველაზე პატარა ბავშვი, მობრბის რაც შეუძლია. მოსდევს მას დასაჭერად აბრაგი. აი, სადაცაა დაეწევა, მაგრამ ამ დროს იქვეა უფლისას თოფმა და ვადმოყრავდა აბრაგი ცხენიდან.

წამოვარდა პატარა და მოჰკურცხლა ციხისაკენ. წამო-ჰკრა ფეხი, წაიქცა. წამოვარდა ზეზე, ისევ ვარბის... მოჰკრიან ცხენოსანი ყიზილბაშები.

გლუჯს მიწას მათი ცხენების მძიმე ფლოკებში.

ისმის განუწყვეტელი ყიყინა თავდამსხმელთა.

აი, სადაცაა დაჰკეტენ ციხის კარებს მცველები. თვალის მოპკრეს უფლისას ჯგუფს. ძახილით ამხნევენ, აჩქარიან. უოპკრიან მტრის მხედრები, ცდილობენ დაეწიონ უფლისას.

ერთი მხედარი დაწინაურდა, წამოეწია მზექალას, რომელსაც პატარა ბავშვი აუტაცნია და ქანცმიღლეული მთარბენინებს. მზექალამ ქვას ფეხი წამოჰკრა და მიწაზე ბავშვიანად გაიმჯღორათა.

აი, ვადმოეკიდა ცხენზე გამოცდილი ყიზილბაში მხედარი, დასტაცა ხელი კაბაში მზექალას და აიტაცა უნაგრზე...

მაგრამ ამ დროს ისევ დაიქევა თოფმა და შეზღვაპობილი მხედარი ცხენიდან ძირს ვადმოვარდა. შეშინებული მზექალა კი ცხენს კისერზე ჩამოეკიდა. დამფრთხალმა ცხენმა გოგონა სოფლისკენ გაიტაცა, ჩაუჭროლა უფლისას, დულაბას, თავეიას და ციხის ალაყაფში შევარდა. მიჰყენენ ჩამორჩენილი, ხრავუნით დაიქეცა ციხის კარი, ვადაარაზეს იგი სოფლელებმა.


ავღია მინდორზე პატარა გოგონა, რომელიც მზექალას ვაუვარდა ხელიდან. ის ძლიერსლოვობით წამოდგა ფეხზე და თავის პატარა მუშტებით ისრესავს აცრემლებულ თველებს და ღრიალებს.

ახალაა შენიშნეს ციხის ქონგურებიდან, რომ ბავშვი ვართ დარჩათ.

წიგის და კივის დედა, იწეწავს თმებს.

ეცნ ციხის კარებს ქართველი ბიჭები, სურთ გააღონ და გაიპრან, — ბავშვი შემოიყვანონ ციხეში. მაგრამ ამ დროს ციხისთავმა დაიქევა:

— რას სწადით! არ ვაბედოთ! მართლაც უკვე გვიანაა.



აი, ჩაღმინა, მხეცივით მოლიანად ბანჯგლიანმა აბრავამ ბავშვს ხელი დასატაცა და როგორც ნადელი ბნაყისაქენ გააბუნძულა.

სოფელს კი მოღებთან თვადამხმელები, სძარცვევენ სახლებს, ანგრევენ და ანადგურებენ ყველაფერს.

კალრი ნელნელა ბნელდება.

* * *

დაბნელებიდან კვლავ გამოჩნდება ციხე-სიმაგრე. კარგა ხანი გასულა მას შემდეგ, რაც მტერს ციხისთვის ალყა შემოურტყავს.

შეიზნულები, ეტყობა შიშვლიობენ. მათ სახეებზე აღბეჭდილია უსახურყო მწუხარება. ყველგან სხედან ღონინიხილი ქალები, ძუძუმწოვარა ბავშვებით, მოხუციები, დიდი და პატარა.

აი, ვასტკერიან გარშემორტყმულ მტერს ქონგურები-დან შეიზნულები და მათ შორის უფლისაც.

— შეხე, შენი ნიკორა გამოიყვანეს იმ ურჯულოებმა, — ებუნება უფლისას მოხუცი გლეხი.

ციხის გადაღმა მტრის მხედრებს გამოუყვანიით ნიკორა ხარი. ერთმა რქამა ჩაავლო ხელი და თავი უკან გადაუწია. მეორემ ხანჯალი იძრო.

გულში მჯიღის იცემს უფლისა და უტკერის როგორ დაქვს ურჯულოებმა მისი ნიკორა ხარი...

...როგორ აასხეს მწვალები და ააშიშხინეს ცეცხლზე...

...როგორ ილუქმებთან მაღიანად და ერთმანეთს ხმა-მაღლა გასახიან:

— უსულე... შეიზნულეს არ შევუბნავოთ?

— ხა, ხა, ხა... — ხარხარებენ ჯარისკაცები.

ციხეში კი დედის გამშრალ ძუძუს წოვს ბაღლი და, რომ ვერაფერს გახდება, ატირდება.

ჩუმად იწმენდს ცრემლებს დედა.

გახევებული დასტკერის ამ სურათს უფლისა.

მას ციხისთავი მიუახლოვდა.

— დღეს შენი ჯგირა უფლისავ, იქნებ გახვიდე როგორმე და აცნობო მეფეს ჩვენი უბედურება.

უფლისამ უსიტყვოდ ჩაქვიდა თავი თანხმობის ნიშნად. შემდეგ გაბრუნდა, თავის ცოლ-შვილთან მივიდა. ჯერ მოხუც დედას მოუხვია, მერე მოხუც მამას, შემდეგ ძუძუმწოვარა შეიღს, ცოლს და, სულ ბოლოს, თავის ცამეტი წლის ვაჟს — დუღაბას.

ლაშეა.

უფლისა ციხის საიდუმლო გვირაბში ჩადის. ყველამ იმეითი აღსასეს თვალს გააკოლა.

სიჩუმე ჩამოადგა ციხეში.

მეციხოვნეებმა დაძაბული ყურადღებით დაუწყეს თვალთვალი ციხის გადაღმა მიდამოს, აბა, გავა თუ არა უფლისაო.

ისმის მინდარის ბუტბუტი და მამლებს ყვილი.

აყმუღდა სხვებთან ერთად ციხეში შეიზნული ძალი — თოლია.

— ჰე, ჰე, ჰე... ჰეი... — მოისშმა ციხის გარედან.

ყველანი მისცივიდნენ ქონგურებს.

ციხის კედლების გადაღმა, სოფლის მოედანზე მოხანს მაღალი სახების გრძელი მწყრივი, რომლებზეც კაცის თავებია ჩამოკსული. იქვე მტრის ჯარისკაცები ახალს არხე ამავრებენ უფლისას თავს, შემდეგ სარს აღმართავენ, ამავრებენ და ძირს უტყებნიან. მტრის ერთერთი მეთაური ციხისკენ გასახებს:

— კიდევ გიმეორებთ, თუ ციხის კარს გავცილებთ, ყველანი ცოცხალი გადარჩებით და სტამბოლის ბაზარზე გაგვიცილი, თუ კიდევ იურჩებით და არ დაგენებლბით, ყველას ეს დღე მოგვლით.

შემდეგ მობრუნდა და ტყვედ ჩაიარინდა პატარა ბავშვს, რომელიც თოკით დაუბამთ, დაუღრიალა:

— გახუდი, შე მამაძალიო, თორემ თავს წაგასცი.

ბავშვი ჯერ ღრიალს უმატებს, მაგრამ, როდესაც მეორედ უყვირებენ და მათრახს გადაუქირებენ, შეშინებული ცდილობს ტირილი შეიმთავროს და საბრალოდ სლუქუნებს.

* * *

გახევებული, ცრემლგამშრალი ვასტკერის თავისი ქმრის მოკეთილ თავს უფლისას მიუღლი. გულზე ძუძუმწოვარა შეიღს უხუტებათ. მშობრი ბავშვი ტირის, მაგრამ მას დედა არავითარ ყურადღებას აღარ აქცევს. ტირიან შეიღები, გოგო-ბიჭები.

არ ტირის მარტო დედაბა. ის პირმოკუებული ვასტკერის მამის მოკეთილ თავს და გამაწარებთ ჩაფრენია მამის ნაშუქარ ხანჯალს.

ციხისთავი მიუახლოვდა ერთ მეომარს და ეუბნება:

— შენი ჯგირა წყალობავ, უნდა გახვიდე როგორმე და აცნობო მეფე თეიმურაზს ჩვენი გაპირება.

ვერ მოასწრო წყალობამ პასუხი გაეცა, რომ ან დროს მასთან დუღაბა მივარდა:

— ძია კიკოლა, მე გამივიდა, გავალ.

— შენ სდ გახვალ, ბალოო, მამაშენი ვერ გაუვიდა...

— ძია კიკოლა, გავალ.

— დედაშენს რა პასუხი გაეცე! მარტო შენა ჰყავხარ ნუქოშად. ვერ გაგაშვებ...

— ძია, გამიშო ჯობია... თორემ მე თეთითონ წყავლ!

— ბალოო, დაცე, დაღამდეს...

— არა, არა, დღისით ჯობია, დამე უფრო ფხიზლობენ...

მხექალა შორიდან უტკერის ამ აზვავს. მოჰკრა თუ არა ყური, თუ რაზე ლაპარაკია, გაეცე და დუღაბას დედას ყურში რაღაც წასჩორულა. მან გახევებული სახით მოიხედა და ციხისთავთან მივიარდა:

— თუ ახლავე არ შეჰკარის ეს ბიჭი, ვიცო მართლად გაიპარება. მამამისი ვერ გაუვიდა და ეგ რას გახდებო...

გავიგონა თუ არა დუღაბამ დედის სიტყვები, სწრაფად მიმოიხედა და, ეტყობა, მანშინე გადაწყვიტა, სანამ მართლა შეტარდნენ, გაეცეულყო. დაჰკრა ფეხი, აირბინა ციხის კედლის ლავარდანზე, ქონგურებს შო-

რის გაძერა. ხელებზე ჩაეყიდა და შემდეგ ძირს ჩახტა. ციხეში ერთი ალაიკოთი ბტყმა, გამოეკიდნენ. მივარდნენ კედელს, გადაიხედეს, მაგრამ გვიანაო. დულაბა უკვე თავზე მირბის.

იკვილა სიმწრით დულაბას დედამ და ბლუჯა-ბლუჯა იგლეჯს თმებს.

დულაბას ტლოი თედო თავის ამხანაგებთან ერთად კუქურტანიდან უთვალთვალეს და ამაყად ამბობს:

— ეგ გავა... აბა ნახე თუ არა...

იქვე წეოვრე სარკმელთან ჩაუჯდარა მზეკალა. ლოყებში, სიმწრით, თითები კლანჭებივით ჩაუვლია და გაფაციცებით ადევნებს თვალს ციხის გარეთ გავარდნილ დულაბას.

საოცარი და საზარელი სიწუმე ჩამოვარდა ციხეში. ჩვილმა ბავშვებმა კი თავი ანებეს ტირილს და თავიანთ დედებს პატარა ხელლებით ეპოტინებიან ხან ქუბუზე, ხან სახებზე.

გასცქერიან წარბშეკრული ნეციხოვნი ციხის გადაღმა შინად დულაბას.

ფრთხილად მიეცოკავს დულაბა. ხანდახან აიხედავს და ნიღამის აიკალიერებს. აი, თვალნი ზოჰკრა მან მტრის ჯარისკაცთა ჯგუფებს, რომელთა გრძელი მწკრივი ალყად არტყია მათი სოფლის ციხე-გალავანს. არსად არ შეიძლება შეუმჩნევლად გაქროლა. ნაშინ მან თამამი გეგმა შეიქმნა ადგა და პირდაპირ გაემართა მტრის ბანაკისაკენ.

მტრის ჯარისკაცები გამოცხობით ადევნებენ თვალს ბიჭუნას. რომელიც თამაშად მიაბიჯებს მათკენ.

— ჰეი, ბიჭო, მოდი აქ! — გასძახა დულაბას მტრის რაზმის მეთაურმა.

დულაბა მიუახლოვდა მას.

— საიდან მოდიხარ? — ეთხა მეთაურმა.

— ციხიდან, — უპასუხა დულაბამ.

— ოჰო! კარგი ამბავი მოგაქვს?

— კარგზე უკეთესი. სად არის თქვენი მეთაური?

— მეთაური? მე ვარ.

— შენ ხარ? ციხიდან. გამოგზავნეს, თქვენი კაცი მოვიდეს, მოვილაპარაკოთო.

— მართლა? აქამდე ეთქვათ, არ ჯობდა! — გახარებულნი მეთაური თავიანთი ბელადის კარავისაკენ გაიქცა. ჯარისკაცები დაიბნენ. აღარ იციან როგორ მოიქცნენ, დულაბას უთვალთვალონ, თუ მეთაურს იმპყენენ.



ბელური ტორებში მიწას თბის და ისე ბრდლინავს, ხადაცაა გაქვებს დაწვავს.

— პატარა პური მუქამეთ რა! მშოი. — უთხრა მათ დულაბამ.

— ალი, შენ ეს ბიჭი ხაბაზთან წაიყვანე, მე მეთაურს მიეყვები, — უთხრა ერთმა ჯარისკაცმა მეორეს.

— წამო. — თვალთ ანიშნა ალიმ დულაბას და თან წაიყვანა. გზადგზა ჯარისკაცები წამოიშალნენ და ალის ეკითხებიან:

— ალი, ეს ვინ არის?


— რა მოხდა?

— საიდან მოგვყავს?

— ციხიდან მოდის. გენებლებიან. — პასუხობს მათ ალი.

ჯარისკაცები აზრიალდნენ, ალის გარს შემოერტყნენ. დანარჩენებში მორბიან ამბის გასაგებად. ბტყდა ერთი ქრიამული.

მართოდ მითოებულმა დულაბამ სწრაფად შიშობი-



ერეკლე შამის ტახთან მივიდა და უნებურად შიშისგან მულ-
მოკეთილ დღუბას უთხრა: — შიამბე, რა მოხდა?

და და ელვის სისწრაფით შეფასა მდგომარეობა. იქვე ახლოს შეკაზმული ცხენია მიბმული. ერთი კი ისკუბა დღუბაზე. ცხენს ზურგზე მოეგო და გაქექსა.

კარგა მოგვიანებით შეამჩნიეს ეს ჯარისკაცებმა. ატყდა ერთი ყვირია. სხარდა, მოძებნეს სხეებმა ცხენები და დაედევნენ გაქვეულს. გააცეცხლებული ბელადი გამოჯარდა გარეთ და ყვირის: — ათასი ოქრო, ვინც იმ ბიკს დაეწევა!

* * *

გააკრა მიწას ცხენი დღუბაზე. ხანდახან მიიხედავს და უთვალთვალბს, ხომა არავინ მეწევიო, მაგრამ ის საყ-
მალო წინაა.

აი, მიაღვა ალაზანს. გადაუშვა ცხენი ადიდებულ ალაზანში.

მოჰკრიან მტრის ცხენოსნები.. აი, მოადგნენ ისინი ალაზნის პარს, მაგრამ ველახსად ხედავენ ვერც წყალში, ვერც გაღმა გაქვეულ მხედარს. კადრი ნელნელა ბნელდება.

* * *

ტრიალი მინდორი თელეთთან. ახალგაზრდა, ცამეტრ წლის ბატონიშვილი ერეკლე გამოსულა მოედანზე. მას

გარს არტყვიან მსახურნი, მათ შორის არის მეჯანიბეთ-
უხუცესი.

— მაშ, შენ ამაზე იმ ცხენის . ვაბნენდი ჯერ არ დაბადებულაო? — ეუბნება ერეკლე მეჯანიბეთ-უხუცესს, — უბრძანე მსახურთ გამოიყვანონ!

— ბატონიშვილო, ნუ... შენი ჰირიბე. ასეთი ვადარეული კვიცი ჯერ არავის გვინახავს. ერთი კვირა უნდა ვაშშიშობო, იქნებ ცოტა დასუსტდეს, მერე გავხედნი, თორემ... სამი კაცი შეიწირა მაგ ცოლის ანგელოზმა.

— გობრძანებ გამოიყვანონო!..
— ბარემ აქავე თავი მომკვეთე, მაგ ბრძანებს ვერ შეეასრულებ...
— შენ იქნებ გგონია თავს მართლა არ მოგკვეთ! აბა, კიდევ შემომიბრუნე სიტყვა!

ამილახვარმა უმწეოდ ჩაიქნია ხელი და მსახურებს უბრძანა:
— გამოიყვანეთ ის ღმერთგამწყრალი, იქნებ, თვალით რომ ნახავს, ვითონ იუაროს ზედ შეჯდომა.

მსახურები გაიქცნენ და თავიდან გამოჰყავთ ჯაჭვებით გაკრული ბედაური, რომელიც ტორებით, მიწას თხრის და ისე ბრღღვიანავს, — სადაცაა ჯაჭვებს დაწვევს. ერეკლე ნელა მიუახლოვდა ბედაურს. ფრთხილად სკადა გაეაზე ხელი გადაუსვას, მაგრამ ბედაური ერთი კი შეხტა და ექვსი კაცი წიწილებივით დაითრია. ძლიერ შეღეს მისი შეჩერება მსახურებმა.

— შეხსენით ჯაჭვები და სწრაფად მოსცილდით! — უბრძანა ერეკლემ მსახურებს.
მათ სწრაფად შეასრულეს ბატონიშვილის ბრძანება. სანამ ცხენი მოისაზრებდა, რომ ის ჯაჭვებით აღარ იყო დაბმული, ერთი კი დაჰკარა ფეხარზე ხელი ბატონიშვილმა და ზურგზე მოეგლო.

ბედაური ავარდა და დავარდა, ჯერ ყალფზე შედგა, მერე ძირს დაასკდა, ფეხზე წამოიჭრა, ისკუბა, გაიჭრა ველზე და ერთ წუთში თვალათან მიეფარა.

შეშფოთებულმა მსახურებმა ყვირინ ასტყხეს:
— დავიღუპეთ!
— ჩქარა გამოუდევით!

ტყეში თუ შევირდა, დაიღუბა ბატონიშვილი...
...მაგრამ ტყეშია ბათი შეშფოთება: აი, აგერ მოდის ტყეში ბატონიშვილი, მისი ბედაური უკვე მოთვინიერებულა. ერეკლემ ის მოაბრუნა და უკან წამოიყვანა. ამ ბრძოლა ტყის ბილიკზე ბატონიშვილს წინ შეეფევა აქოშინებული დღუბა. ის ფეხით მორბის.

— შენ, ეი, — შესძახა დღუბამ მხედარს და ჯილავში წედა ცხენს. — ჩამოზე ცხენიდან.
— ვინა ხარ, ბალოო, რომ ამას მიმედევ? კითხა გაჯავთებულმა ერეკლემ.

— გიბედევ თორემ, დიდი ვინმე მყევხარ! ჩამოზე-მეთქი, თორემ... შენ აქ სასიეროდ გამობრძანებულხარ, მე კი...
მისწედა მოლოდინელად ფეხში, ცხენიდან გადმოთრია და, სანამ ერეკლე რაგებს მოისაზრებდა, თვითონ მოეგლო ცხენს და მოჰქუსლა.

საჯიროთო მოედნიდან მსახურებმა თვალი მოჰკრეს, რომ უკან ბრუნდებოდა მათი დაკარგული მხედარი, მაგრამ დახე მათ გაოცებას, როდესაც ცხენზე, ბატონიშვილის ნაცვლად, სოფლის ბიჭი დაინახეს.

— ეგეი, შენ ვინა ხარ?
— ბატონიშვილი რა იქნა?

შესძახეს აქეთ-იქედან და სცადეს გზა გადაეკრათ. ღულაბამ ცხენი არ შეაჩერა.

და აი, მან აქაფებული ბედაური თელავის სასახლის გალავანთან მიავლო და ალაყაფთან ციხის დარაჯს შესძახა:

კარი ვაღე!

სასახლის დარბაზში ღულაბა პირდაპირ ერეკლეს ღედინაცვალთან—ღედოფალ ანა-ხანსთან მიიყვანეს და მის წინ დააჩოქეს.

